განკარგულება:**გ-49. 49250318**
თარიღი:**31/01/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482503044; 30/01/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების " საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
		129,0	
	ადმინისტრაცია	**18,00**	
1	დირექტორი	1	3000
2	დირექტორის მოადგილე	1	1863
4	ადმინისტრაციის უფროსი	1	1335
5	ბუღალტერი	1	1577
7	საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	1335
8	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი	1	1335
9	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორის თანაშემწე	1	1033
10	შესყიდვების მართვის კოორდინატორი	2	1335
11	სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი	1	1275
12	შიდა მონიტორინგის მართვის მენეჯერი	1	1517
13	შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი	1	1214
14	საფინანსო–ეკონომიკური მართვის კოორდინატორი	2	1311
15	დარაჯი	3	791
16	დამლაგებელი	1	730
	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისი	**96**	
17	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერი	1	1311
18	მუშების კოორდინატორი	1	1190
19	მეეზოვეთა კოორდინატორი	3	1190
20	აბონენტთა მომსახურების მართვის კოორდინატორი	4	1033
21	მძღოლი	15	1335
22	მუშა	28	1214
23	მეეზოვე	44	1033
	ცენტრალური პარკის ზედამხედველობის სერვისი	15	
24	ცენტრალური პარკის ზედამხედველობის მენეჯერი	1	1311
25	მეეზოვეთა კოორდინატორი	1	1190
26	მეეზოვე	12	1033
29	დამლაგებელი	1	778